Erasmus+ ECOMODE პროექტის დისიმინაციასთან დაკავშირებული აქტივობები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის პროექტში "ECOMODE - ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელის განვითარების ხელშეწყობა სტუმარმასპინძლობაში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის" (Fostering Eco – Innovative Business Model Development in SMEs in Hospitality Industry).

ERASMUS+ პროგრამის კონკურსში გამარჯვებული პროექტი (#2018-1-IT01-KA202-006788 (CUP code G94D18000030006)) მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობას ინოვაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ასევე, სტრატეგიულ პარტნიორობას პროფესიული განათლების განვითარებისათვის ტრეინინგისა და სწავლების გზით. დამფინანსებელი ორგანიზაციაა იტალიის ეროვნული სააგენტო ERASMUS+ INAPP.

პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის განმვალობაში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრა, მათ შორის:

30 იანვარს ჩატარდა საქართველოს შემოქმედებითი კავშირის „საქართველოს საინჟინრო აკადემიის" საგზაო სატრანსპორტო სისტემებისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების სხდომა. ECOMODE პროექტთან დაკავშირებით სხდომაზე ისაუბრეს პროექტის კოორდინატორმა ნინო ფაილოძემ და პროექტის მონაწილემ ნინო ჩაჩავამ. განყოფილების უფროსმა თამაზ შილაკაძემ ისაუბრა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის შესახებ. ამასთანავე, საგზაო სატრანსპორტო სისტემებისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების წევრს პროფ. ლევან ბერიძეს დაევალა ნინო ჩაჩავასთან ერთად ECOMODE პროექტის მნიშვნელობის შესახებ მოხსენების მომზადება შემდეგი სხდომისათვის.

22 თებერვალს მოეწყო შეხვედრა სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის დეპარტამენტის უფროსთან ეკატერინე სარალიძესთან.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პირველი სახელწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების/სასტუმროების შექმნისა და არსებული საწარმოს/სასტუმროს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

შეხვედრაზე აღნიშნული იქნა, რომ ორგანიზაცია მხარს უჭერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ECOMODE პროექტს განხორციელებაში, კერძოდ, მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში, ეკოტურიზმის კლასტერთან დაკავშირებული საკვანძო და მომსახურე სეგმენტებთან მედიატორის როლის შესრულებაში.
მხარდაჭერა მითითებული იქნება პროექტის ანგარიშებში და საქართველოს გუნდის მიერ აღნიშნული იქნება მათ საჯარო და სამუშაო გამოსვლებში, ნაბეჭდ სარეკლამო მასალებში.



19 მარტს გაიმართა შეხვედრა მდგრადი ტურიზმის ბიზნესის ასოციაციის წარმომადგენლებთან, რომელსაც ესწრებოდნენ ასოციაციის დირექტორი, დამფუძნებელი თამარ ჭელიძე; გენერალური მენეჯერი, დამფუძნებელი ლელა გიორგიძე; მარკეტინგის და კომუნიკაციების წარმომადგენელი ჭიაბერ მაჭავარიანი.

საუბარი იყო მდგრადი ტურიზმის ბიზნესის ასოციაციის როლსა და ხედვაზე სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში ეკოინოვაციური ბიზნესმოდელის

განვითარებასთან დაკავშირებით. ორგანიზაცია მხარს უჭერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ECOMODE პროექტის განხორციელებას.





26 მარტს ჩატარდა შეხვედრა სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის დეპარტამენტის უფროსთან ეკატერინე სარალიძესთან და საგრანტო პროგრამის მენეჯერთან ირინა გიორგიძესთან.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და მასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაზრდის პროდუქტის (სასწავლო კურსები ონლაინპლატფორმის, მობილურის აპლიკაციისა და თამაშების საშუალებით, საერთაშორისო სერტიფიცირება) ხარისხს და მომხმარებლების რაოდენობას, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრად განვითარებას.

5 აპრილს გაიმართა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი პირველი და მეორე აქტივობის: საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის, კვლევის შედეგების გაზიარებისა და კომპეტენციების განსაზღვრასთან დაკავშირებული პირველი ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრა.

პროექტის მონაწილე პერსონალმა ნინო ფაილოძემ, ნინო ჩაჩავამ და ია მოსაშვილმა სტუმრებს გააცნეს ECO-ინოვაციისათვის სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში პროექტის წარმატებული მაგალითების შეგროვებასთან დაკავშირებული კითხვარები, პრობლემები და მისი გადაჭრის შესაძლებლობები.

შეხვედრას ესწრებოდნენ სატუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობათა ჯგუფის უფროსი მარიკა ზვიადაძე (სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახური). მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ექსპორტის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე სარალიძე, მეწარმეობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თეონა ბაბუნაშვილი და სტაჟიორი ნინო კომლაძე

(სსიპ „აწარმოე საქართველოში“); ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხრიდან ქეთევან ზურაშვილი (ხარისხის განვითარების სამმართველო); მდგრადი ტურიზმის ბიზნესის ასოციაციიდან ასოციაციის დირექტორი, დამფუძნებელი თამარ ჭელიძე; გენერალური მენეჯერი, დამფუძნებელი ლელა გიორგიძე; მარკეტინგის და კომუნიკაციების წარმომადგენელი ჭიაბერ მაჭავარიანი, ასევე, კომპანია მაგთიკომიდან პროდუქტების განვითარების მენეჯერი ლევან გორგიაშვილი და ლუკა ასათიანი.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ჩატარებულ სამუშაოსთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ პროექტის ფარგლებში 23-25 მაისს იგეგმება მეორე საერთაშორისო შეხვედრა (სტუ-ს შეხვედრების ოთახი).

ღონისძიებაზე პარტნიორი ორგანიზაციების (იტალია, ავსტრია, უნგრეთი, თურქეთი, საქართველო) მიერ წარმოდგენილი იქნება პრეზენტაციები პროექტის საქმიანობასა და სამომავლო შედეგებთან დაკავშირებით.